



სპენსერ ჯონსონი

სპენსერ ჯონსონი

ვინ მოიპარა ჩემი ყველი?

**გამომცემლობა „მუსფონდი“
თბილისი 2015**

რუსულიდან თარგმნა
რედაქტორი

სალომე მარშანია
გაბრიელ თაგაური

იდეის ავტორი &
კომპიუტერული
უზრუნველყოფა

დავით გოგოლაშვილი

წიგნი მკითხველს საშუალებას მისცემს მრავალმხრივ დაინახოს და შეაფასოს მის წინ მდგარი პრობლემა, ასევე განუვითარებს სპონტანურად ლავირებისა და ლობირების უნარს. აქ წარმოდგენილია ოთხი არსების დაუვიწყარი პატარა ისტორია. მოკლედ შეიძლება ასე შევაფასოთ: სამოტივაციო წიგნი, საოცარი გზა გაუმკლავდეთ ცვლილებებს სამსახურსა და ცხოვრებაში. შეხედვით ფსიქოლოგიურ, ფილოსოფიურ თუ ეკონომიკურ წიაღსვლებს. წიგნი განკუთვნილია ფართო საზოგადოებისათვის, გამოადგებათ მოსწავლეებს, სტუდენტებსა და მკვლევარებს.

© სალომე მარშანია ; გამომცემლობა „მუსფონდი“ ;
თბილისი 2015; გვერდი 42

ISBN 978-9941-0-7530-8

წინასიტყვაობა

ჩემს საუკეთესო მეგობარს,
კენ ბლანშარს,
რომელიც ისეთი შთავონებული დარჩა ამ ისტორიით, რომ
მაიძულა დამენერა წიგნი. წიგნი, რომელიც როგორც იქნა
ყველასთვის ხელმისაწვდომია.
სპენსერ ჯონსონი

...

თუ ცხოვრებას ვინდა გაუსწორო თვალი,
ყველაფერი გამოსცადო და არ გქონდეს ვალი,

გაარღვიო უნდა შენ კომფორტის ზონა,
რომ ცვლილებებს სასიკეთოდ კვლავ დაედოს წონა.

თითოეულს თანაბრად გვაქვს უკეთესის შანსი,
სიზარმაცეს არ ვემონოთ, ნუ ვიქნებით ფარსი.

წაკითხეთ ყურადღებით და გაიგეთ არსი,
არას გარგებთ ცოდნა მხოლოდ მოკლე შინაარსის.

პოზიტივი გააღვიძეთ, გამოფხიზლდით სწრაფად,
მოერიეთ საკუთარ თავს ნებისმიერ ფასად.

დასასრულს კი გისურვებთ სიმშვიდეს მე მარად,
ცვლილებებით მოიკიდეთ ცხოვრებაში ფეხი მყარად.

სალომე მარშანია

შეხვედრა ჩიკაგოში

ერთ მშვენიერ, მზიან დღეს, ნაშუადღევს, ჩიკაგოში სკოლადამთავრებულთა ჯგუფმა თეთრი სუფრით გაფორმებულ მაგიდასთან მოიყარა თავი, რათა ესაუბრათ წარსულზე, საკუთარ საქმეებზე, ცხოვრებასა და წარმატებებზე, რომელსაც მიაღწიეს უკანასკნელი წლების მანძილზე. სადილი სიუხვით გამოირჩეოდა, შეხვედრა კი აღსავსე იყო ხუმრობებით, ცინიზმითა და სასიამოვნო მოგონებებით. ყოველივე ამის შემდეგ დაიწყო აზრთა სერიოზული გაცვლა-გამოცვლა. მოულოდნელად, თავის დროზე კლასში ყველაზე ავტორიტეტულმა ანუელამ აღნიშნა:

- ბევრი რამ შეიცვალა, ცხოვრება ისე არ მოეწყო როგორც სკოლის დროს წარმოგვედგინა.
- მართალი ხარ, - დაეთანხმა ნატანი. ყველამ კარგად იცოდა მისი მსხვილი ოჯახური ბიზნესის შესახებ, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში განაგრძობდა მუშაობას მჭიდროდ დაკავშირებული გარემოსა და ძირძველი ტრადიციების შენარჩუნებით. მთელი ყურადღება მისი მზრუნველი ტემბრისკენ იყო მიმართული. შემდეგ დასძინა:
 - შეამჩნიეთ როგორ რთულად ვეგუებით ცვლილებებს?
 - ვფიქრობ, ცვლილებებს იმის გამო ვენინააღმდეგებით, რომ სიახლის გვეშინია, აღნიშნა კარლოსმა.

ამ დროს ჯესიკაც ჩაერთო საუბარში:

- ეს რას ნიშნავს? ფეხბურთის გუნდის ყოფილი კაპიტანი სიმბდალეზე ალაპარაკდა? გულიანად გაიციინეს, თუმცა გულის სიღრმეში თითოეულმა მათგანმა, მიუხედავად მათი განსხვავებული სამუშაო სფეროებისა - დიასახლისით დაწყებული მენეჯერთა დამთავრებული, აღმოაჩინა რომ

საერთო საზრუნავი ჰქონდათ. თავისი დროისა და ენერჯის უმეტეს ნაწილს თითქმის ყველა სამსახურს ახარჯავდა. ამით თითქოს ცდილობდნენ ახალი უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რათა ადვილად შეეუბნებოდნენ ცვლილებებს. თუმცა ყოველთვის როდი უმკლავდებოდნენ მათ.

- ადრე ყველანაირი ცვლილების მეშინოდა, - აღიარა მაიკლმა. მაშინ როდესაც ჩვენს საქმეში სერიოზული ცვლილებები ხდებოდა და ჩვენ არც კი ვიცოდით რა ხერხებისთვის მიგვემართა, ვაგრძელებდით ძველი, ჩვეული წესებით საქმიანობას, რამაც თითქმის კრაზამდე მიგვიყვანა. მაგრამ შემდეგ ერთი პატარა ისტორია მიამბეს, რომელიც დამეხმარა სრულიად სხვა კუთხით დამენახა ჩემი შეცდომები.

- კი მაგრამ როგორ? - გაიკვირვა ნატანმა.
- იცით, მას შემდეგ სრულიად განსხვავებულად აღვიქვამ სიახლეებს. ეს ყოველივე კი დამეხმარა დამელაგებინა ურთიერთობები როგორც სამსახურში, ასევე პირად ცხოვრებაში. ეს არის ამბავი დაქვემდებარებულ პირებზე, მათ შორის ჩემს კოლეგებზე. ჩემმა თანაშემწეებმა მეტი მონდომებით განაგრძეს მუშაობა და საქმეც დაიძრა. ბევრმა აღიარა, რომ ეს პატარა ისტორია დაეხმარა მათ პირადი ცხოვრების მოწესრიგებაში.

- კი მაგრამ რა ამბავზეა საუბარი? - დაინტერესდა ანჟელა.

- „ვინ მოიპარა ჩემი ყველი“ - ასე ჰქვია? - ატყდა სიცილი.

- აი მე კი მომწონს ეს სახელწოდება, - განაცხადა კარლოსმა - მოგვიყვები?

- დიდი სიამოვნებით, - თქვა მაიკლმა. - ეს პატარა ამბავია.

თვით ისტორია

რომელიღაც სახელმწიფოს ერთ-ერთ სამეფოში გამოყოფილი გახლდათ ტერიტორია, რომელიც სხვადასხვა გასასვლელებითა და დერეფნებით იკვეთებოდა. ასეთ გაურკვევლობაში დაკარგვა წამის მემსედში შეიძლებოდა. სწორედ ამიტომ ეწოდებოდა ამ დასახლებას - ლაბირინთი.

და ცხოვრობდა აქ 4 მხიარული ბინადარი, რომლებიც საკუთარი წილი ნატეხი ყველის ძებნის გარდა უსაქმურობის მეტს არაფერს აკეთებდნენ.

ორი მათგანი თავი იყო. ჩვეულებრივი, ნაცრისფერი, გრძელკუდიანი, წვრილი უღვაშებითა და პატარა საცეცი თვალებით. ერთს ნიუსს ეძახდნენ, მეორეს კი-ბეგუნს.

მაცხოვრებლების მეორე წყვილი - ჯუჯა ხალხი, თავებისგან არაფრით განსხვავდებოდა ზომებით, მაგრამ ქცევის მანერა ნამდვილი ხალხისა ჰქონდათ. მათ გომი და მონი ერქვათ. ლაბირინთში მცხოვრებთა მინიატურულობა ერთობ აძნელებდა მათი საქმიანობის სფეროს განსაზღვრას. თუმცა ყურადღებით დაკვირვების შემდეგ გასაოცარი სურათი გვემულებოდა თვალწინ.

ორივე წყვილი ყოველდღე, დაუღლეოდ ეძებდა ყველს - თოთოეული თავის კუთვნილ წილს. თავგებს - ნიუსსა და ბეგუნს ამ რთულ საქმეში ბასრი კბილები და განვითარებული ინსტინქტის გრძნობა ეხმარებოდათ. პატარა კაცუნები კი ცდილობდნენ გამოეყენებინათ იდეებითა და გეგმებით გაჯერებული გონება და მოეძებნათ ის განსაკუთრებული, სპეციალურად მათთვის განკუთვნილი ყველის ნატეხი, ყველი დიდი ასოთი, რომელზეც დამოკიდებული იყო ბედნიერება, კეთილდღეობა და წარმატება.

რაოდენ განსხვავებულნიც არ უნდა ყოფილიყვნენ ეს წყვილები, ერთ რამეს მაინც იდენტურად აკეთებდნენ: ყოველდღე, დილაუთენია დგებოდნენ, იცვამდნენ სპორტულ ტანსაცმელს და მიეშურებოდნენ თავიანთი წილი ყველის საძებარზე.

ლაბირინთი, სადაც ყველი იყო დამალული, წარმოადგენდა დერეფნების სისტემას, რომელიც ერთმანეთისგან განსხვავებული ბნელი თუ დაბინდული გასასვლელების სიმრავლით გამოირჩეოდა. გასასვლელების უმრავლესობა მიყრუებულ დერეფანთან მიდიოდა, სადაც დაკარგვას იოლად მოახერხებდი. ის, ვინც სწორ გზას მიაგნებდა, გაიგებდა საიდუმლოს - ბრწყინვალე მომავლის საიდუმლოს. თავგებმა უმარტივესი გზა აირჩიეს - შეირბენდნენ ერთ დერეფანში, თუ ცარიელი დახვდებოდათ უკან ბრუნდებოდნენ. ასე იქცეოდნენ ყოველი წარუმატებელი ძიებისას.

როდესაც ნიუხი ყველის სუნს იგრძნობდა, ბეგუნს ანიშნებდა და ეს უკანასკნელიც მიზანმიმართულად მირბოდა მითითებული მიმართულებით. ასეთ ქცევას ყოველთვის წარმატება არ მოჰყვებოდა; ხშირად ირჩევდნენ არასწორ მიმართულებას და იკარგებოდნენ. გომმა და მონმა ძეხნის სხვა მეთოდი აარჩიეს. საკუთარ გონებრივ შესაძლებლობებზე დაყრდნობით, გარემოებების რეალურად შეფასებისა და გამოცდილების ხარჯზე, სწორი მიმართულების ადვილად პოვნის იმედი ჰქონდათ. თუმცა, აღნიშნული გარემოებების მიუხედავად, ეს მათთვის უმეტეს შემთხვევაში უშედეგოდ სრულდებოდა.

ასეა თუ ისე, ბოლოს და ბოლოს ორივე წყვილმა მსგავსი თუ განსხვავებული მეთოდების გამოყენებით საყვარელი ყველის ნაჭერს მიაგნო და ამ დღიდან მათ ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა. ორივე წყვილი

ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ქმნიდა დღის გეგმას, რომლის მიხედვითაც ძიების ახალ ეტაპს იწყებდნენ.

ნიუხი და ბეგუნი, ჩვეულებისამებრ დილაადრიან დგებოდნენ და მირბოდნენ ლაბირინთში, - ყოველთვის ერთიდაიგივე გზით. მიზანთან მისულები ინესრიგებდნენ თავს, აწყობდნენ ტანსაცმელს და ტკბებოდნენ თავიანთი წილი ყველის ნატეხით.

თავდაპირველად გომი და მონიც დილაადრიან დგებოდნენ, სწრაფად ინესრიგებდნენ თავს და მიიჩქაროდნენ საკუთარი წილი ყველის ნატეხის დასაგემოვნებლად, თუმცა შემდეგ კალაპოტიდან ამოვარდნენ და ტემპიც შეანელეს. მათი ასეთი საქციელი იმით აიხსნებოდა, რომ ლაბირინთში ყველისკენ მიმავალი გზა ყველა თავგმა უკვე მშვენივრად იცოდა. ყველი კი არსად გაექცეოდათ. ისინი არც კი ფიქრობდნენ საიდან გაჩნდა ყველი, ვის ეკუთვნოდა, ან საერთოდ ვინ მოათავსა იქ. თავგები ამაზე ფიქრით, უბრალოდ თავსაც არ იტკიებდნენ; მთავარია ყველი არსებობდა.

ყოველ დილით დანიშნულ პუნქტზე მისულები სპორტულ ტანისამოსში გამოენწყობოდნენ ხოლმე, რათა ბოლომდე მიეღოთ სიამოვნება საკუთარი წილი ყველის ნატეხისგან.

მშვენიერია, - აღნიშნა გომმა. - აქ იმდენი ყველია, მთელი ცხოვრება გვეყოფა.

ისინი ასეთ დროს სრული ბედნიერების გრძნობით აღივსებოდნენ ხოლმე. თვლიდნენ რომ წარმატებულად ცხოვრობდნენ.

დროთა განმავლობაში ყველის უზარმაზარი ნატეხი პირად საკუთრებად გაითავისეს. წარმოისახეს რა, რომ მუდმივად უბრუნველყოფილნი უსაფრთხოდ იარსებებდნენ და არც რაიმე ცვლილებას ექნებოდა ადგილი, ყველთან ახლოს გადაწყვიტეს ცხოვრება. ასე

ჩამოყალიბდა და განვითარდა ცხოვრება საკუთარი სიმდიდრის წყაროს გარშემო.

კომფორტისა და შინაურული მყუდრო გარემოს გასაუმჯობესებლად გაჩნდა შემდეგი აბრა წარწერით :

**„ბედნიერების წინაპირობა - საკუთარი
ყველის ნატეხის ფლობა“**

სიმდიდრის სადემონსტრაციოდ მეგობრებს ხშირად ეპატიუებოდნენ. - აბა როგორია? ხომ ლამაზი ყველის ნაჭერია? - კომპლემენტის მიღების რეჟიმში სვამდნენ კითხვებს.

ხანდახან სტუმრებსაც უმასპინძლდებოდნენ, თუმცა მხოლოდ ხანდახან. ეს „ხანდახან“ კი ძალიან იშვიათად ხდებოდა.

-ჩვენ ეს დავიმსახურეთ, - ამტკიცებდა გომი. - ჩვენ ხომ დიდხანს და სინდისიანად ვიმუშავეთ?...

საკუთარ სიმართლეში დარწმუნებული ნათქვამის დასამონმებლად მოტეხდა ყველის სოლიდურ ნატეხს და დასასვენებლად წამოწოლილი განცხრომას ეძლეოდა, რაც უკვე ხასიათის თავისებურებად ექცა. ყოველ საღამოს ყველით სავსე ჩანთებით ბრუნდებოდნენ შინ, დილით კი ისევ ახალი პორციებისენ მიეშურებოდნენ. და ასე გრძელდებოდა საკმაოდ დიდხანს. მოთხოვნილებების შემცირებას არც აპირებდნენ. პირიქით, ხარჯების ნორმას სულ უფრო და უფრო ზრდიდნენ. იმდენად სჭეროდათ საკუთარი თავისა, ვეღარც კი ამჩნევდნენ რა ხდებოდა ირგვლივ.

ნიუხი და ბეგუნი კი ცხოვრებას ჩვეული დღის განრიგით აგრძელებდნენ. როგორც წესი, ადრიანად

მიდიოდნენ, ცნოსავდნენ, მირბოდნენ, ამონშებდნენ რამე ხომ არ მოხდა მათ გარშემო, იყო თუ არა რაიმე სახის ცვლილება გუშინდელი დღის მერე და ა.შ და მხოლოდ ამის შემდეგ შეეცოდნენ ყველის სანუკვარ ნატეხს.

მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, წარმოუდგენელი რამ მოხდა. ერთ მშვენიერ დილას ადგილზე მისულებს ყველი იქ აღარ დახვდათ, თითქოს მთელი ყველი სასწაულებრივად გამქრალიყო. მომხდარს ისინი სრულებითაც არ აღუშფოთებია, რადგან იცოდნენ რა როგორ და როდის იცვლებოდა. უწყოდნენ ისიც, რომ ყველის მარაგი დღითი-დღე მცირდებოდა. ამჯერად ინსტინქტმა უკარნახა რა უნდა გაეკეთებინათ.

ერთმანეთს გადაჰხედეს, სწრაფად მოიწესრიგეს თავი და სამოქმედოდ მოემზადნენ. თავგებისთვის წარმოქმნილი პრობლემა ისეთივე უბრალო აღმოჩნდა, როგორც მისი მოგვარების გზა: მდგომაროება საფუძვლიანად შეცვლილიყო, ე.ი მათი ცხოვრების წესიც მოითხოვდა ტრანსფორმირებას.

ლაბირინთი ყურადღებით შეათვალიერეს. ნიუხმა ჰაერის დიდი ნაკადი შეისუნთქა და ბეგუნს მიმართულების მინიშნება მისცა. დაიწყო ყველის ახალი ნატეხის ძიება. ოდნავ მოგვიანებით გომი და მონიც გამოჩნდნენ. ისინი ვერაფერს ამჩნევდნენ და არც ცვლილებების მომხრენი იყვნენ. მათთვის ყველის გაქრობა სრულ მოულოდნელობას წარმოადგენდა. -რა ხდება? ყველი აღარ არის? - მოთქვამდა გომი და თან ხმის ტემბრს უმატებდა, თითქოს ყვირილი ყველს დააბრუნებდა.

- ვინ მოიპარა ჩემი ყველი? - განაგრძობდა გომი.
სიმწრისგან გაბრაზებული და კიბორჩხალასავით
განითლებული კიდევ უფრო ხმამაღლა აყვირდა:

- უსამართლობაა!
მონი, მოულოდნელობისგან გაოცებული, საკუთარ
თვალებს არ უჯერებდა. მას კიდევ ჰქონდა ყველის პოვნის
იმედი. მაგრამ ნურას უკაცრავად! ირგვლივ სიცარიელე
სუფევდა. გომი ისევ ყვიროდა, თუმცა ყურადღებას არაფინ
აქცევდა.

მონს არ შეეძლო სიმართლისთვის თვალის
გასწორება. პატარა ხალხის ქცევის მანერები
არაგონივრული და მეტად არამიმზიდველი გახლდათ.
თუმცა მათი გაგება მაინც შეგვეძლო. მათთვის
განკუთვნილი ყველის ნატეხის პოვნა არც ისე ადვილი იყო.
რაც მათ თავის ღროზე იპოვნეს, ის ჩვეულებრივი
არსებობის ნორმების დაკმაყოფილებას ბევრად
აღემატებოდა.

მათთვის ყველი ნიშნავდა ყველაფერს, რაც
შესაძლოა ადამიანურ ბედნიერებაში იგულისხმებოდეს.
თითოეულ მათგანს ყველის ნატეხის თავისებური გაგება
გააჩნდა. ერთისთვის მატერიალური კეთილდღეობის
ფლობასა და ძალაუფლებას ნიშნავდა, მეორესთვის კი-
დიდების, დანაყრების, სხვაზე მფლობელობისა და
ზღვასთან ახლოს, კამემბერის გორაზე ვილის ქონასთან
ასოცირდებოდა.

ვინაიდან ყველის ფლობა თითოეული მათგანისთვის
აუცილებელ ელემენტს შეადგენდა, მოილაპარაკეს ბევრი

ემსჯელათ და გეგმა გაენერათ. მომხდარს მაინც ვერ იჯერებდნენ, ამიტომაც გადანყვიტეს მთელი ტერიტორიის გულიანად დათვალიერება. ყველა მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. იმ დროს, როცა ნიუხი და ბეგუნი ძალღონე მოკრებილები შემართებით ეძებდნენ ყველის ახალ ნატეხს, პატარა კაცუნები გამოძიებას აწარმოებდნენ. და როდესაც არაფერი გამოუვიდათ, მათ მრისხანებას საზღვარი არ ჰქონდა. მომხდარი ფაქტი უსამართლობად მიიჩნიეს.

გომი ლეთარგიულ ძილს მიეცა. რა მოხდება თუ ხვალაც ვერ იპოვიან ყველს? ის ხომ მთელ მომავალს სწორედ ყველის ამ ნატეხზე აგებდა. ისინი ჯერ კიდევ არ უჯერებდნენ თვალებს. როგორ მოხდა ეს? ისინი არავის გაუფრთხილებია. ეს ვილაცის უპატივებელი შეცდომა იყო. ამ დღიდან მოყოლებული ისინი თავჩაქინდრულები, ცარიელი ჩანთებითა და კუჭებით ბრუნდებოდნენ შინ. ნასვლის წინ კედელზე ასეთი რამ დანერეს:

„რაც უფრო მნიშვნელოვანია ვილაცისთვის ყველის ნატეხი, მით უფრო მიჯაჭველია ის მასზე“

მეორე დღეს, როდესაც ძველ ტერიტორიაზე დაბრუნდნენ, გაუჩნდათ იმედი, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა და ძველი მდგმარეობაც დაბრუნდებოდა. მაგრამ უშედეგოდ, არაფერი იცვლებოდა, ყველგან სიცარიელეს დაესადგურებინა. ბოლოს პატარა კაცუნებმა საბოლოოდ ჩაიქნიეს ხელი.

ჩემად ზვერავენ ერთმანეთს და დახლის ცარიელ თაროებს. გომმა თვალები დახუჭა, ყურებზე ხელები აიფარა და ცდილობდა განთავისუფლებულიყო იმ აზრისგან, რომ ბოლო დროს, მართალია კონკრეტულად არა, მაგრამ ბუნდოვნად მაინც ამჩნევდა ყველის ნელ-ნელა გაუჩინარებას. ის ცდილობდა დაემტკიცებინა საკუთარი თავისთვის, თითქოს ყველი ნამიერად, მოულოდნელად გაქრა. პირადი მოსაზრება გომმა უკმეხად გამოთქვა:

- რატომ დამემართა მაინცდამაინც მე ასეთი რამ? რა გამიკეთეს? და საერთოდ რახდება აქ? როგორც იქნა მონმა თვალები გაახილა და გაოცებულმა უპასუხა:
- ნიუხი და ბეგუნი სადღა არიან? მათ რა იციან ამ ყველაფრის შესახებ?
- რას ამბობ?! მათ საიდან უნდა იცოდნენ? ისინი ხომ ჩვეულებრივი თავგები არიან. ჩვენ განსხვავებულები ვართ! მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია ყველის გაქრობის საიდუმლოს ამოხსნა. გარდა ამისა, ჩვენ ვიმსახურებთ ყველაფერ საუკეთესოს. ეს არ უნდა მომხდარიყო, მაგრამ რადგან უკვე მოხდა, საჭიროა საბოლოოდ მაინც დავრჩეთ მოგებულები.
- რომელ მოგებაზე მელაპარაკები? - შეენინა აღმდეგა მონი.
- ჩვენ გვაქვს ამის უფლება - უპასუხა გომმა.
- უფლება? რისი უფლება? - არ ეშვებოდა მონი.
- საკუთარი წილი ყველის ნატეხის ქონის უფლება
- რატომ?
- იმიტომ, რომ ჩვენ არანაირი ბრალი არ მიგვიძღვის

წარმოქმნილ პრობლემებთან დაკავშირებით. ვილაც სხვა არის დამნაშავე და ჩვენ გვაქვს უფლება მოვითხოვოთ მოყენებული ზიანის კომპენსაცია.

- იქნებ აჯობებს შევეშვათ ამ უსაფუძვლო საუბარს და ყველის ახალი ნატეხის ძიებაზე ვიფიქროთ? - მერყევად იკითხა მონმა.
- არავითარ შემთხვევაში! აქედან ფეხს არ მოვიცვლი, სანამ ჩვენი უბედურების ყველა მიზეზს არ გავიგებ.

სანამ ეს საუბრები გრძელდებოდა, ნიუხი და ბეგუნი ძალღონეს არ ზოგავდნენ იმისათვის, რომ ყველი მოეძებნათ. ზემოთ-ქვემოთ სირბილითა და ლაბირინთის დერეფნების თვალთვლით ისინი ღრმად აღწევდნენ ყველა კუთხე-კუნჭულში, -შეუმონწმებელს არცერთ ადგილს არ ტოვებდნენ. ყველა დაბრკოლების გადალახვას ახერხებდნენ, არცერთი წამით არ ცდებოდნენ, მიზანმიმართულად ეძებდნენ საკუთარ წილ ყველის ნატეხს. დიდი ხნის განმავლობაში ვერაფერს პოულობდნენ. მაგრამ შემდეგ მიაგნეს მათთვის სრულიად უცხო ადგილს, ღრმად ლაბირინთში, სადაც მანამდე არასოდეს ყოფილან. მათს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. ეს იყო პუნქტი «H». ისინი თვალებს არ უჯერებდნენ, თავი სიზმარში ეგონათ. თავგებს აქამდე არ ენახათ ყველის ამხელა ნატეხი. ამ დროს კი გომი და მონი მდგომარეობას აფასებდნენ. შიმშილისგან შეწუხებულნი, სასონარკვეთილებში ჩავარდნილნი, საშინლად გაბრაზებულნი, ჩხუბობდნენ და წარუმატებლობაში ადანაშაულებდნენ ერთმანეთს.

მონი მობილიზებას ცდილობდა. გაახსენდა ნიუხი და ბეგუნი, რომლებიც კარგა ხნის წინ წავიდნენ ცარიელი პუნქტიდან და ახლა შესაძლოა უკვე ნაპოვნი ჰქონდათ

ყველის ნატეხი და სიამოვნებით შეექცეოდნენ მას. ისიც გაიხსენა, თუ როგორ იკარგებოდნენ ყოველ ჯერზე ლაბირინთის დერეფნებში, შემდეგ კი ისევ აგნებდნენ გზას. ამ დროს იმაზეც ფიქრობდა, რომ არ შეიძლებოდა ძებნა დაუსრულებლად გაგრძელებულიყო, წარუმატებელ ცდებს კი აუცილებლად ესაჭიროებოდა დაფასება, - ისინი ხომ ცდილობდნენ. წარმოიდგენდა როგორ მადისაღმძვრელად შეექცეოდნენ სასურველი ყველის ნატეხს ნიუხი და ბეგუნი. ასეთი შეგრძნებების ფონზე თვითონაც ისურვა გზას იმწამსვე გაშურებოდა. ყველის სუნიც კი იგრძნო და ვერაფერი შეაჩერებდა-შედგომოდა ძებნის პროცედურებს. უეცრად თავი ვერ შეიკავა და დაიყვირა:

- წავედით! წინ!
- არავითარ შემთხვევაში. მე აქ კარგად ვარ, მყუდროდ და კომფორტულად. გზად კი ბევრი საფრთხე და სირთულეები შეგვხვდება.
- რაზე მელაპარაკები? - განაგრძონდა მონი. - ადრეც ხომ ასე ვიქცეოდით. ბევრ სირთულესაც და სიძნელესაც გადავწყდომივართ ერთად და ახლა რაღა დაგემართა?
- არა, მე ბავშვი აღარ ვარ რომ გამუდმებით ვირბინო, მთელი დღეები სულელივით ვიხეტიალო. შენ ეს გინდა? ამის მოსმენაზე მონმა მერყეობა დაიწყო. ის წარუმატებლობის სენმა შეიპრყრო, დაეკარგა რაიმეს პოვნის იმედი. აი ასე უსაქმურობდნენ მთელი დღის განმავლობაში. სურვილისამებრ მიდიოდნენ დანიშნულ პუნქტში და ერთ ციცქნა ყველის ნატეხსაც კი ვერ პოულობდნენ. შინ დამწუხრებულები ბრუნდებოდნენ. გაბანკროტებას არ აღიარებდნენ, თუმცა ყველაფერი

ნათელი იყო. თავი დაღლილობამ და უძილობამ იჩინა. დილით დამწუხრებულები და გაღიზიანებულები იღვიძებდნენ. სახლი აღარ ეჩვენებოდათ ისეთი მყუდრო და მშვიდი ადგილი როგორც უნინ. უიმედობით შეპყრობილნი აღარც კი ფიქრობდნენ თუ ოდესმე კვლავ მიაგნებდნენ ყველის ნატეხს. მიუხედავად ამისა მაინც აკითხავდნენ ჩვეულ ადგილს.

- მისმინე მონ, არ შეიძლება ასე დაძაბული ყოფნა, საქმე არც ისე ცუდად არის, როგორც ჩვენ გვგონია. შესაძლოა ყველის ნატეხი სადმე აქვე იყოს, კედლების უკან.

მეორე დღეს სხვადასხვა სამუშაო ინსტრუმენტით აღჭურვილებმა კედლების მტვრევა დაიწყეს. ვერაფერს პოულობდნენ, თუმცა მაინც აგრძელებდნენ უსაფუძვლო შრომას. ყოველ დღე დილაუთენია მისულები ყველა ახლომდებარე კედლის დანგრევას იწყებდნენ. დროისა და ენერჯის დაკარგვის გარდა ვერაფერს მიაღწიეს. ასეთი დანგრეული დატოვეს დანიშნულების პუნქტი.

- ლოდინის მეტი არაფერი დაგვრჩენია, უნდა ველოდოთ როდის დაგვიბრუნებენ ჩვენი კუთვნილ ყველის ნატეხს, - ახალი იდეა გაუჩნდა გომს.

მონს უნდოდა გომის ნათქვამის დაჯერება, თუმცა მშვენივრად იცოდა რომ ეს ყოველივე რეალობისგან ძალიან შორს იყო.

ამ დროისათვის ჩვენი პატარა ადამიანები ფიზიკურად და მორალურად დაცემულები გახლდნენ. უიმედობითა და უენერჯობით შეპყრობილები აცნობიერებდნენ, ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა.

წინააღმდეგ შემთხვევაში სამუდამოდ დაკარგავდნენ მომავალში ყველის ნატეხის პოვნის შესაძლებლობას.

უეცრად მონმა ხარხარი ატეხა.

- შემომხედე გომ, რაც არ უნდა გავაკეთო არანაირი პროგრესი არ აღინიშნება, განა ეს სასაცილო არაა?

მას, რა თქმა უნდა, არ მოსწონდა ბნელ, მიუვალ ლაბირინთებში სირბილი, სადაც ყოველ წამს საფრთხე ელოდა, მაშინ როდესაც მიზერული გარანტიაც კი არ არსებობდა ყველის ნატეხის პოვნისა. სწორედ ამიტომ გამუდმებით შიშის ქვეშ იმყოფებოდა - ვერაფრის პოვნის შიშის ქვეშ.

ყველაფერი ნათელია - მხოლოდ სიცილით შეეძლო მას საკუთარი ლაჩრობის დამალვა.

- სად არის ჩემი ტანისამოსი? - იკითხა მონმა. მალე მიაგნო კარგად დავიწყებულ ძველ ნივთებს, მოირგო და სერიოზული სახე მიიღო. გომმა ველარ მოითმინა:
- ნუთუ კვლავ ლაბირინთებში აპირებ სირბილს? დარჩი და ერთად დაველოდოთ როდის მოგვიტანენ ჩვენს კუთვნილ ყველს.

ეს აღარასოდეს მოხდება. ყველის ნატეხს ჩვენ არავინ არასოდეს დაგვიბრუნებს. ყველა ეს ოცნება უსაფუძვლოა. დროა ახლის ძიებას შევუდგეთ- განაცხადა მონმა.

- და თუ არანაირი ყველი არ არსებობს? და თუ არსებობს, რომ ვერ მივაგნოთ? ამდენ წვალეხას აჯობებს დაველოდოთ - არ ცხრებოდა გომი.
- ვინ იცის, - უპასუხა მონმა. ასეთი აზრები უშლიდა მას

ხელს რაიმე სერიოზულის მიღებასა და გადანყვეტაში.
- ხდება ხოლმე, როდესაც მდგომარეობა მოულოდნელად
სხვა მიმართულებით იცვლება. გამორიცხული არაა,
სწორედ ამ შემთხვევასთან გვექონდეს საქმე ახლაც. ასეთია
ცხოვრება, ჩვენ კი მას ფეხი უნდა ავუწყოთ.

მონს სურდა მეგობრისთვის თვალეხი აეხილა,
თუმცა უშედეგოდ. გომი სიცილს ვერ იკავებდა, როდესაც
მათ სულელურ მდგომარეობას იაზრებდა. ლაბირინთი
მელის! - უეცრად მონმა მტკიცედ დაიძახა. გომი აღარ
იცინოდა. მონმა აიღო ქვის ბასრი ნატეხი და მეგობრის
გასამხნეველად დახატა გამოსამშვიდობებელი ყველის
ნატეხი წარწერით:

*„ვერ გადარჩება ის, ვისაც ცვლილებების
განხორციელება არ შეუძლია“*

გომმა არც კი შეხედა წარწერას.
მონს გაახსენდა თავისი მდგომარეობა, მერყეობა იმის
შესახებ რომ ყველს ველარ იპოვნის, რადგან არ არსებობს
და თუ არსებობს მაინც ვერ შეძლებს მის პოვნას.

ასეთი ფიქრებით შეპრყობილი შიშის გრძნობამ
აიტანა და ნელ-ნელა სულ უფრო მშიშარა ხდებოდა.
იცოდა, გომი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა თუ ვინ წაიღო
მათი ყველი.

მისი ფიქრები მწუხარების შავ ნისლს მოეცვა,
მისტიროდა იმ დაკარგულ დროს, რომელსაც ასე უქმად
ატარებდა.

კიდევ ერთხელ მიმოიხედა უკან, იმ ძველ ადგილებში, რომლებიც ერთ ღროს ასე მაგნიტივით იზიდავდნენ მას. გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმისგან მაინც თავს იკავებდა. არ იცოდა შინ უნდოდა დარჩენა, თუ ძიების განახლებას აპირებდა.

უეცრად ისეთი დაღლილობა იგრძნო, რომ იძულებული გახდა დარჩენილიყო და დაესვენა.

კვლავ დაფიქრდა მშიერ გომზე, რომელიც თბილ მყუდრო სახლში იჯდა და ელოდა როდის დაუბრუნდებნენ ყველის ნატეხს. მისი შეშურდა კიდევ. ჯერ კიდევ ვერ გადაწყვიტა რა ექნა, თუმცა ბოლოს ადგა და გამოსამშვიდობებელი წარწერა გააკეთა კედელზე:

„რის გაკეთებას შევძლებდი შიშით რომ არ ყოფილიყავი მოკული?“

ამაზე ჩაფიქრდა, მიხვდა რომ შიში ხანდახან სასარგებლოა. თუ ადამიანს ეშინია რომ მისი საქმეები ცუდად წავა, იწყებს მოქმედებას- ეს კარგია. მაგრამ, შიშის ზეგავლენის ქვეშ ყოფნა იმ ღონემდე, რომ მოქმედება შეწყვიტო - ეს ცუდია. ლაბირინთის იმ მხარეს გახედვა სადაც ის ჯერ არ ყოფილა, შიშისმომგვრელი აღმოჩნდა. ღრმად ამოისუნთქა, მარჯვნივ შეუხვია და გაიქცა უცნობი მიმართულებით. მხოლოდ ახლახანს მიხვდა რა დიდი დრო დაეკარგა უსაქმოდ ყოფნაში. იმდენად ბევრი, რომ დასუსტდა და გახდა კიდევ, გადაადგილება წინანდელთან შედარებით უფრო უჭირდა. ყოფილი სიტჯანსალისა და სიმარდისაგან მხოლოდ მოგონებებიღა დარჩა.

იმის აღიარებამ, რომ ახალი ბაზების ათვისება ისე აღარ შეეძლო როგორც უნინ, შთააგონა მომავალში ასეთ სიტუაციებს მომზადებული შეხვედროდა, ალლო აელო ყველანაირი ცვლილებისათვის. გაელიმა, გაახსენდა ძველი გამონათქვამი: „ჯობს გვიან ვიდრე არასდროს“. ხანდახან ადგილებში რალაცეებს პოულობდა, მაგრამ ეს მხოლოდ ნამცეცები იყო.

საკუთარი თავისა და გომის გასამხნეველად ყველის დიდ ნაჭერზე ოცნებას კვლავ განაგრძობდა. თავდაჯერებულობა ნელ-ნელა უბრუნდებოდა. შეუძლებელი იყო იმის არ შემჩნევა თუ რამდენი ცვლილება მოხდა წარსულთან შედარებით. წინსვლა სიძნელებით მიმდინარეობდა, ეჩვენებოდათ, ვითომ, ორი ნაბიჯის წინ გადადგმით ერთით უკან იხევდნენ. სირთულეები გადაულახავი ეჩვენებოდათ. თუმცა შეამჩნიეს, რომ ძეხნის პროცესი არც ისე მტანჯველი გამოდგა, როგორიც ეგონათ.

დროთა განმავლობაში ეჭქევმ დგებოდა მათი მიზნებისა და შესაძლებლობების თავსებადობა. მოიპოვებდა თუ არა ყველის დიდ ნაჭერს, როდესაც ირონიულად აღიარებდა, რომ ნამცეციც კი არ გააჩნდა ძალის მოსაკრებად.

საკუთარი ქმედებების კონტროლირება დაიწყო და თავს ფუჭი ხეტიალის უფლებას არ აძლევდა. ნუთუ მხოლოდ ნიუსს და ბეგუნს შეეძლოთ მიზნისკენ სწრაფვა, მას კი ამის პოტენციალი არ ჰქონდა?

წარსულის გახსენებისას აგონდებოდა ყველის გემო, რომელიც ბაზაზე უცბად არ გამქრალა, დროთა განმავლობაში მცირდებოდა. ობიც კი გაუჩნდა მას, მაგრამ ამას არანაირ მნიშვნელობას არ ანიჭებდა.

თუმცა შექმლო წინასწარ მიეღო ზომები. გაათვითცნობიერა, თავდაპირველი ცვლილებები უფრო უმტკივნეულო და სასარგებლო იქნებოდა. გამოორიქხული არაა-ნიუხი და ბეგუნი სწორედ ასე მოიქცნენ.

ეს ფიქრები შეწყვიტა ახალმა აღმოჩენამ, რომლის შინაარსიც მან იმწამსვე ამოკანრა კედელზე:

*„ყველს ხშირად უნდა უსუნო, რათა მიხედვ როდის
ინყებს გაფუჭებას“.*

დიდი ხნის შემდეგ მონმა იპოვა ადგილი, სადაც ერთი შეხედვით ყველის მარაგები უნდა ყოფილიყო განთავსებული, თუმცა, ნურას უკაცრავად - ირგვლივ დამთრგუნველ სიცარიელეს დაედო სამუდამო ბინა. ძებნის შეწყვეტის სურვილი უკვე ყველაფერს ფარავდა, მითუმეტეს მას შემდეგ, რაც ამდენი შრომა , დრო და ენერგია ფუჭად დაიხარჯა.

დღითიღღე ძალა და ენერგია სულ უფრო და უფრო მცირდებოდა. მშვენივრად ხვდებოდა გზა რომ აებნა. ხშირად ფიქრობდა ძველ ბაზაზე დაბრუნებას, სადაც გომთან ერთად იქნებოდა და მარტოობაში შიშის შეგრძნებას თავს აარიდებდა.

შიშის შეგრძნების გარეშე მონს გაცილებით მეტის გაკეთება შეეძლო, მაგრამ რას გააკეთებდა სულიერი და ფიზიკური ღაცემის შემდეგ, როდესაც შიში კვლავაც დომინირებდა? ასეთ მდგომარეობაში მას რა თქმა უნდა არ სჯეროდა საკუთარი შესაძლებლობების და არც იმის, რომ გზის გაგრძელებას ისევ მოახერხებდა. ის ამას ვერ ხვდებოდა, ძველი ახირებები აფერხებდნენ.

უეცრად გომი გაახსენდა. ნეტავ როგორაა? გზას გაუდგა თუ ისევ შიშით შეპყრობილი სახლში ზის? ბოლოს

დაასკვნა: ყველაზე კარგი შეგრძნება ყველის ნატეხის ძებნის პროცესია, მიუხედავად მისი ყველა სირთულისა.

არამხოლოდ საკუთარი გამხნეებისა, არამედ მეგობრისთვისაც, თუ ის ოდესმე მოხვდებოდა ამ ადგილას, კედელზე დანერა:

**„მხოლოდ ახალი მიმართულების მიმდევარს
ძალუძს ყველის ნატეხის პოვნა“.**

ბნელ კორიდორს გახედა - შეეშინდა. ნეტავ რა ელის? ნუთუ ისევ უიღბლობა და დაცარიელებული ადგილები? ან იქნებ რაიმე უფრო საშინელი, უარესი? შესაძლოა ყველაფერი მოხდეს. ფანზატია გაღვივდა. ხმამაღლა გაეცინა. მისი ფანტასტიკური მოჩვენებები ხომ მხოლოდ მისი წარმოსახვის შედეგი იყო და მეტი არაფერი, რისგანაც აუცილებლად უნდა განთავისუფლებულიყო.

ახალი მიმართულება აირჩია და გაღიმებული გაიქცა. თავი ხელში აიყვანა.

იმედმა განსაცვიფრებელი ძალა და შინაგანი სიმხნევე შემატა, დიახ, იმედის საშუალებით შვებით ამოისუნთქა, მიუხედავად იმისა, რომ არ იცოდა სად მიდიოდა, ან რა ელოდა.

უეცრად საოცარმა კმაყოფილებამ შეიპყრო და მის დასათვისებლად კედელზე ამოტვიფრა:

„შიშის დაძლევით თავისუფლებას მოიპოვებ“

შიშისგან განთავისუფლებულმა თავისუფლება მოიპოვა ერთ-ერთი ადგილიდან ჯანსაღმა ჰაერმა დაჰბერა. რამოდენიმე ღრმა ჩასუნთქვის შემდეგ სიჩქარეს უმატა. შიში უკან მოიტოვა, ახლა კი სიმშვიდით ტკბებოდა.

წარმოიდგინა ყველის დიდი ნაჭერი, რომლის წვერზეც კომფორტულად მოთავსებული მხოლოდ ყველის ასორტიმენტის არჩევით იყო დაკავებული.

ფანტაზიას იმდენად მოეცვა იგი, რაც უფრო მეტად იჭერებდა და ოცნებობდა, უფრო მეტი იმედი ეძლეოდა ყოველივეს ასრულებისა.

იმის დაჭერებაც უნდოდა, რომ მისი მეგობარი მალე მის კვალს მიჰყვებოდა.

ლაბირინთის გზაჯვარედინებსა და დერეფნებში მორბენალს ნაცნობი აღგილები მოხვდა თვალში, რომლებმაც ძველი პუნქტი გაახსენა.

აღელვებულმა შენიშნა მიწაზე დაყრილი ყველის პატარა ნატეხები. ასეთი ზომის ყველი მას ჯერ არ ენახა. დასწვდა და გასინჯა. უგემრიელესი აღმოჩნდა. აკრეფა დაიწყო და ჯიბეები ყველის ნატეხებით გაივსო. მხოლოდ საკუთარი თავისთვის კიარა, გომისთვისაც მიჰქონდა მარაგი. უდიდესი სიხარულით მიემართებოდა ის დერეფნის შუაგულისკენ. პუნქტი ცარიელი აღმოჩნდა. ეტყობოდა ვიღაცის კვალი და ახლა მხოლოდ ნამცეცებიდა დაეტოვებინა. მონი მიხვდა, რომ ძებნის დროულად დანყების შემთხვევაში ყველის დიდი ნატეხი მის ხელში იქნებოდა.

იმედი გაუცრუვდა. გადანყვითა შინ დაბრუნება და გომის დარწმუნება ძებნის ერთობლივად გაგრძელებაში. მარტოობით ის დიდხანს იტანჯებოდა. დაბრუნების წინ კი დანერა:

„რაც უფრო ნათლად აღვიქვამთ ახალი ყველის ნატეხით ტკობას, მით მალე ვიპოვნით მას“.

გომთან შეხვედრამ შედეგი არ გამოიღო. ის ძველებურად ერთიდაიგივეს იმეორებდა. ახალი ყველის გასინჯვაც არ სურდა. მკაცრად სჯეროდა არ მოეწონებოდა,

მას ხომ თავისი ყველი უყვარდა ყველაზე მეტად დედამიწის ზურგზე და ყველაფერს გააკეთებდა მის დასაბრუნებლად.

მონს ისლა დარჩენოდა მართო გაძლოლოდა გზას. მეგობრის გვერდში არყოფნით იტანჯებოდა, მაგრამ რა უნდა ექნა? გომს თავისი გზა უნდა ეპოვნა, მონი კი სირთულეების გადალახვით ბევრს ისწავლიდა.

ნათელი გახდა: წარმატება მხოლოდ ყველის ფლობაში არ გამოიხატებოდა. ყოველივე ამის ფონზე, საკუთარ თავს სუსტ და უმწეოდ აღარ თვლიდა. ძალას შიშის დამარცხებაც ჰმატებდა. გადალახა და შეძლო კიდევ ახალი მიმართულების მოძებნა.

გრძნობდა, რომ მხოლოდ დროის საკითხი იყო იმის მოპოვება, რისკენაც მიზანმიმართულად ისწრაფოდა. გარდა ამისა, რაღაცამ უკარნახა, თითქოს-და უკვე ნაპოვნისკ ჰქონდა.

იდეა გაუჩნდა:

„უსაქმურობას ლაბირინთში ძიება სჯობს“.

აღრე მისი მოსაზრებები შიშით გაჯერებულიყო. ძველი პუნქტიდან წამოსვლის შემდეგ კი მისი აზროვნება სავსებით შეიცვალა. აღრე დაუშვებლად და უსამართლობად მიაჩნდა ყველის გაქრობა, ახლა კი უკვე აღიარებდა, რომ ცვლილებები განვითარების ბუნებრივი თანმდევი პროცესია - უნდა მას ეს, თუ - არა.

ახალი აზროვნების შედეგი კედელზე აისახა:

ყველი ჯერ კიდევ არ ჩანდა, თუმცა მონი მაინც

„წარსულის შიშებით ახალ ყველამდე ვერ მივალთ“.

დასახული მიზნისკენ აუღელვებლად მიემართებოდა. ამასთან, საფიქრალადაც ბევრი დრო გაუჩნდა.

ბოლოს იმ დასკვნამდეც მივიდა, რომ აზროვნების ცვლილებას ნაბიჯების ცვლილებაც უნდა მოჰყოლოდა.

თუ ცვლილებები გვავენებს, მისდამი დამოკიდებულება უნდა შევცვალოთ, შევეწინააღმდეგოთ,- და თუ დაგვეხმარება,- მაშინ ფართოდ გაშლილი ხელებით უნდა შევხვდეთ. ბევრია დამოკიდებული იმაზე, თუ რისი გვინდა გვჯეროდეს. ამ აზრმა კიდევ ერთი წარწერა შეაქმნევინა:

„თუ ჩვენ ვირწმუნებთ, რომ შეგვიძლია ყველის ახალი ნატების პოვნა და მისით ტკობა, მაშინ ცვლილებები აუცილებელია“.

მონი მიხვდა, დროულად გონზე მოსვლის შემთხვევაში გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა და ყველა სახის დაბრკოლებასაც უფრო მარტივად გადალახავდა.

თავის დროზე გონიერების გამოჩენითა და მართებულად შეფასების უნარის გამოვლენის ხარჯზე იგი შეძლებდა სანუკვარი ყველის ნაჭერი უკვე დიდი ხნის ნაპოვნი ჰქონოდა.

ამ აზრმა გადაწყვეტინა ლაბირინთის უკლებლივ ყველა უღრანი ადგილის საგულდაგულოდ გამოძიება. ეს ნამდვილად სწორი გადაწყვეტილება გახლდათ, რადგან განსხვავებულ ტერიტორიებზე მართლაც ყოველთვის პოულობდა ყველის ნატებს. ყოველივე ეს მას მეტ ძალებს ჰმატებდა და აფიქრებდა იმაზე, რომ სადღაც, შორს, გომს აუცილებლად გამოადგებოდა კედლებზე დატოვებული წარწერები და მისთვის რჩევებისა და გზამკვლევის ფუნქციას შეიძენდა. მას სჯეროდა, გომი აუცილებლად დატოვებდა ძველ ბაზას და შეუდგებოდა თავგამეტებულ ძიებას. თავში ასეთი აზრი მოუვიდა:

„თუ დროულად შეამჩნევ პატარა ცვლილებებს, მაშინ უფრო დიდი ცვლილებებისთვის მზად იქნები.“

მონმა უკვე დიდი ხნის წინ დასძლია წარსულის ბნელი აჩრდილები და შეძლო ახალ ყაიდაზე გადანყოფა. ყოველდღე უფრო და უფრო უმატებდა ლაბირინთში ძიებას, რადგან ეჩვენებოდა მისი ტანჯვა უკვე საუკუნეებია რაც გრძელდებოდა. ლოდინმა დიდხანს არ გასტანა. ახალ ბაზაზე მისულს ყველის ნაჭერი დახვდა. ამ დროს მიხვდა, რომ ეს სწორედ მისი კუთვნილი ყველის ნატეხი იყო. როცა შიგნით შეაღწია - გაქვავდა. შედეგი გამაოგნებელი აღმოჩნდა. ირგვლივ ყველის ნატეხების მთები აღმართულიყო. მსგავსი რამ ჯერ არსად ენახა. განსხვავებული ზომისა და ფორმის ყველის ნატეხები ასორტიმენტის მიხედვით იყო დალაგებული, - ისე, თითქოს დიდი ხანია მის გამოჩენას ელოდნენ.

„რაც მალე დავივინწყებთ ყველის ძველ ნატეხს, მით მალე ვიპოვით ახალს.“

ცხადი იყო თუ სიზმარი? მონს ჯერ კიდევ არ სჯეროდა მომხდარის. თვალები დახუჭა. ეგონა წარმოსახვა უსამართლოდ ეთამაშებოდა. შემდეგ თავლები გაახილა, - ყველაფერი თავის ადგილზე ეწყო. მხოლოდ მას შემდეგ დაწყნარდა, რაც მისი ძველი მეგობრები - ნიუხი და ბეგუნი ნახა. მისალმების ნიშნად ერთმა თავი დააქნია, მეორემ - კუდი. მათი გარეგნობა და ფორმები იმაზე მეტყველებდა, რომ დაახლოებით 3 დღე მაინც იქნებოდა, რაც ყველის ამ მთებზე დაედოთ ბინა. სწრაფად მიესალმა და ყველის ასორტიმენტის გადარჩევას შეუდგა. სპორტული ტანისამოსი გაიხადა და ახლოს დაიწყო, - ყველაფრისთვის ხომ მზად უნდა ყოფილიყო. დაბინავდა. ყველის ყველა ასორტის გასინჯვის შემდეგ სიამოვნებისგან აღატეცხულმა წამოიძახა: „გაუმარჯოს ცვლილებებს!“

არსად ეჩქარებოდა, იდგა დრო გაეანალიზებინა ძიების შედეგები, გამოეტანა შესაბამისი დასკვნები და ყველაფრისთვის მიენიჭებინა შესაბამისი ქულები, რამაც ასწავლა სირთულეების დაძლევა. აღიარა, რომ როცა ყველაზე მეტად საჭიროებდა ცვლილებებს, სწორედ მაშინ ებლაუჭებოდა უკვე არარსებულ ყველის ნატეხს.

რამ აიძულა შეცვლილიყო? დისკომფორტის შეგრძნებამ თუ სიცივემ, შიმშილმა? რათქმაუნდა შიმშილს ითამაშა თავისი როლი, თუმცა საქმე ამაში ნამდვილად არ იყო. გონება გაუნათდა და მიხვდა, რომ მოქმედებებში ცვლილებები მას შემდეგ დაიწყო, რაც **საკუთარ წარუმატებლობებზე ხუმრობა შეძლო**. მიხვდა, რომ ცვლილებებისკენ უმოკლესი გზა შემდეგ პუნქტებზე გადიოდა - არ შეშინდე გაიციინო საკუთარ სრულყოფილ შეცდომებზე, ფანტაზიასა და სისულელეებზე. ეს ყოველივე ათავისუფლებს ზედმეტი ტვირთისგან და მეტ თავისუფლებას სძენს, აჩქარებს ახლისკენ სწრაფვის ტემპს. „**თუ ბაზაზე მდგომარეობა შეიცვალა, მაშინ საკუთარი ქმედებებიც უნდა განსხვავებულად წარიმართოს.**“ - აი ნიუხისა და ბეგუნის მარტივი კრედო. მან ეს კარგად დაიმასხოვრა. ყველაფერ ამას თუ ადამიანური აზროვნებაც დაემატებოდა, მაშინ წარმატება გარანტირებული იყო. **წარსულში დაშვებული ყველა შეცდომა უნდა იქნას შესწავლილი ანმყოში და გამორიცხული მომავალში. აუცილებელია ერთხელ და სამუდამოდ იმის დამახსოვრება, რომ ნებისმიერი გამოვლინება, ცვლილება, შემთხვევა კანონის ფარგლებში დაშვებული და ლოგიკურია. ისინი ისეთებად უნდა მივიღოთ, როგორიც არის. არ უნდა გავართულოთ სიტუაცია,**

იოტისოდენადაც არ უნდა მივანიჭოთ ზედმეტი მნიშვნელობა. მარტივად აღვიქვათ სიტუაცია, თუმცა ვიყოთ დაკვირვებულები, სწრაფად მორეაგირებები. არაა აუცილებელი ფანტაზია იმდენად დავძაბოთ, რომ ყველაზე ცუდზე ვითვქროთ. ასეთი საქციელი პანიკამდე მიგვიყვანს. გარემოს კარგად შესწავლისას მინიმალური ცვლილებებიც ადვილად შესამჩნევია. ამ სიგნალებს შეუძლიათ ჩვენი უფრო დიდ ცვლილებებზე გადანაცობა. მნიშვნელოვანია დროულად იმის შემჩნევა, რომ ჯერ კიდევ არსებობს შეცვლის შანსი. ყველა სირთულე და წინააღმდეგობა ჩვენშია და არაფერი შეიცვლება, სანამ თავად არ შევიცვლებით.

მისი ერთ-ერთი აღმოჩენა გახლდათ შემდეგი: „თითოეულ ჩვენგანს, ყოველთვის და ყველგან ელოდება მისი კუთვნილი ყველის ნატეხი, თუ რათქმუნდა შეძლებ და დასძლევ შიშსა და მერყეობას. მართალია შიშის იგნორირება რთულია, - მისი დახმარებით ბევრ სირთულესთან შეიძლება გამკლავება. მხოლოდ გადამეტებული სიტრთხილე აფერხებს ცვლილებების პროგრესს“.

ადრე ნებისმიერ ცვლილებას მტკივნეულად იღებდა, მაგრამ საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ თურმე სასარგებლო ყოფილა - ისინი დაეხმარა, როგორც ყველის ნატეხის, ასევე საკუთარი მეს პოვნაში. ამ განხილვებმა მონი გომზე დაათვქრა. კითხულობდა კი კედლებზე დატოვებულ წარწერებს? გადადგა თუ არა მამაცური ნაბიჯი - გაეგრძელებინა ძიება? ძველ ბაზაზე დაბრუნებულს გომი

ისევ იქ დახვდებოდა? ან მიაგნებდა კი ძველი ბაზისკენ მიმავალ გზას? რჩევებს მაინც მისცემდა როგორ დაეძლია წინააღმდეგობები და გამოსულიყო არსებული მდგომარეობიდან. მან ეს ბევრჯერ სცადა, - თუმცა უშედეგოდ.

გომს თავად უნდა მოენახა გამოსავალი, დაეძლია წინააღმდეგობები, შიში, მერყეობა. დაეჯერებინა ცვლილებების გარდაუვალობა და გაეწყვიტა კავშირი წარსულთან.

მონმა მთელი მონდომებით ახალ ბაზაზე შემდეგი წარწერები გააკეთა:

- ✓ გარდაქმნა გარდაუვალია. ვიღაც ყოველთვის იპოვის ყველის ნატეხს.
- ✓ ცვლილებებს უნდა ელოდო. უნდა მოემზადო, - სხვა შემთხვევაში ყველის ნატეხს წაიღებენ.
- ✓ ცვლილებებს ადვილად შევეთავსოთ. რაც მალე მოვწყდებით ყველის ძველ ნატეხს, მით მალე ვიპოვით ახალს.
- ✓ ცვლილებებს თვალყური უნდა ვადევნოთ. ყველი მალე-მალე უნდა გამოწმობ, რათა მივხვდეთ როდის ფუჭდება.
- ✓ ცვლილება აუცილებელია. წინ, ყველის საძებრად!
- ✓ ისიამოვნე ცვლილებებით. დატკბი ძებნის თავგადასავლებითა და ახალი ნატეხის გემოთი.
- ✓ მზად იყავი ახალი ცვლილებებისა და ისიამოვნებისთვის. ყველის ნატეხი ხომ სადღაც ქრება.

მონი ამჩნევდა თუ რა განასხვავებდა ბოლო დროინდელ მოვლენებს უწინდელთან. იმასაც ხვდებოდა, რომ

უსაქმურად ყოფნით შესაძლოა ყველაფერი მომენტალურად დაეკარგა. სწორედ ამიტომ, აქტიურად ერთვებოდა ყოველდღიურ საქმიანობაში, ამოწმებდა ბაზაზე არსებულ მდგომარეობას, ყველის ხარისხს. მოკლედ ვიტყვით, ყველაფერს აკეთებდა ყველანაირი მოულოდნელობის თავიდან ასაცილებლად. ბაზაზე ყველის დიდი რაოდენობას მოეყარა თავი, მაგრამ მონი მაინც აგრძელებდა ძიებას ლაბორინთის შორეულ მხარეებში. ყურადღებით ადევნებდა თვალყურს მის შორიახლოს მომხდარ ამბებს. დაასკვნა, რომ უფრო მშვიდად ცხოვრება მაშინ იყო შესაძლებელი, როცა იცოდი საფრთხე საიდან გელოდა, ვიდრე დამტკბარიყავი ფუფუნებით და „მშვიდად“ გეცხოვრა.

ერთხელ ხმაური შემოესმა. აშკარად ვილაც უახლოვდებოდა. ნუთუ ეს გომი იყო? დერეფნის ბოლოს დაკვირვებით ელოდა ვინმეს გამოჩენას. მონს კიდევ შერჩენოდა იმედი, რომ მისმა მეგობარმა შეისმინა დარიგებები, რჩევები და ახლა ისევ ერთად იქნებოდნენ. მონმა სასწრაფოდ დაწერა კედელზე ბოლო წარწერა:

„მიყევი ყველს და დატკბი ცვლილებებით“.

...

მაიკლმა თხრობა დაასრულა, ირგვლივ მიმოიხედა და მეგობრების მომღიმარი სახეები დაინახა. ისინი მადლობელნი იყვნენ ასეთი საინტერესო და დამაფიქრებელი ამბის მოყოლისთვის, რომელმაც ყველა ღრმად დაათქრა.

ნატანმა თქვა: - რას იტყვით მოგვიანებით რომ შევიკრიბოთ და დეტალურად განვიხილოთ ეს ამბავი? ყველა დაეთანხმა. სადილის შემდეგ სასტუმროს მისაღებში შეიკრიბნენ. სკოლის ამბების გახსენებისა და მსუბუქი მეგობრული დაცინვის გარდა იმაზეც ისაუბრეს, თუ ვინ იპოვა საკუთარი წილი ყველის ნატეხი, ან ვინ იყო ჯერ კიდევ ძიების პროცესში.

ანუელამ მხიარულად იკითხა: - რომელი გმირი შეგვეფერება თითოეულ ჩვენგანს? გომი, მონი, ნიუხი თუ ბეგუნი?

-ახლა სწორედ მაგაზე ვფიქრობდი, - აღნიშნა კარლოსმა, - კარგად მახსოვს, სანამ ჩემს კომერციულ საქმიანობას დავინწყებდი სპორტულ სფეროში, მთელი რიგი ცვლილებების გადატანა მომიწია. ნიუხი ნამდვილად არ ვიყავი, რადგან დროულად ვერ შევამჩნიე ცვლილებები. არც ბეგუნი ვიყავი, რადგან დროულად არ დამინცია მოქმედება. ყველაზე მეტად ალბათ გომი ვიყავი, რომელსაც ერჩივნა მშვიდად, წყნარად გაეგრძელებინა ცხოვრება ყველანაირი ცვლილების გარეშე. სიმართლის დანახვა და თქმა არ მინდოდა.

მაიკლმა ჰკითხა: - რას გულისხმობ?

-სამსახურის ადგილის დროულ შეცვლას, - უპასუხა კარლოსმა. მაიკლს სიცილი აუტყდა, - ნუთუ გამოგაგდეს?

-მოდით ასე ვთქვათ, - არ მინდოდა ყველის ახალი ნატეხის ძებნა. ვთვლიდი, რომ არანაირი ცვლილება არ იყო საჭირო, ვჯერდებოდი იმას, რაც იმ მომენტში მქონდა. სწორედ ამის გამო დავზარალდი.

ამ ამბავმა ყველა აალაპარაკა, მათ შორის ისინიც, ვინც ამ დრომდე სდუმდნენ. ასეთი გახლდათ თრანკი, - სამხედრო პირი. ის ყვებოდა:

- ჩემი ერთი მეგობარი გომს მაგონებს. დანაყოფს,

რომელშიც ის მუშაობდა, ლიკვიდაცია ელოდა. ცვლილებები ახლოვდებოდა, მაგრამ მას ამის შემჩნევაც კი არ სურდა. მისი დაქვემდებარებული პირები სხვა დანაყოფებში გადავიდნენ. ცდილობდნენ გაეფრთხილებინათ დროულად დაეტოვებინა მისი დანაყოფი და სხვა მსგავს განყოფილებაში გადასულიყო. ასეთი შესაძლებლობა ყველას გააჩნდა. მან ცვლილებებს ყურადღება არ მიაქცია და აღმოჩნდა ერთადერთი ადამიანი, რომელსაც განყოფილება დაუხურეს. ახლა კი იძულებულია შეეგუოს არსებულ მდგომარეობას და იმ ცვლილებებს, რომელთა დანახვაც აქამდე არ სურდა.

- არც მე მეგონა, რომ ასეთი რამ ოდესმე თავს დამატყდებოდა. ჩემი ყველის ნატეხი არაერთხელ მომპარეს. თითქმის ყველას სიცილი აუტყდა, მაგრამ ნატანმა მთელი სერიოზულობით აღნიშნა: - მთელი აზრი მოულოდნელ გარდასახვაშია. ჩემს ოჯახს დროულად რომ მოეხდინა ცვლილებებზე რეაგირება, ახლა არ მოგვიწევდა მაღაზიების გაყიდვა. გამორიცხული არაა, ეს ისტორია მანამდე რომ მომესმინა, საქმეები სხვანაირად წარმართულიყო.

ასეთ აღიარებას ირგვლივმყოფების გაოცება მოჰყვა. ყველამ იცოდა, ნატანის ოჯახს სტაბილური ბიზნესი ჰქონდა, სერიოზულ მოგებას იღებდა დივიდენდების სახით და მომავალშიც ასეთი პერსპექტივა ამოძრავებდა.

კი მაგრამ რა მოხდა? - ჰკითხა ჯესიკამ.

-მაღაზიათა ქსელის დანაყოფებიანი სისტემა მოდიდან გადავიდა მას შემდეგ, რაც გამოჩნდა ყველანაირი პროდუქტით აღჭურვილი დიდი სავაჭრო ცენტრები. მათთან გამკლავება ვერ შევძელით. ახლა ვხვდები, რომ გომივით ვიქცეოდი. ძველ მეთოდებსა და სისტემაზე ჩავიციკლეთ, რომლის შეცვლაც არანაირად გვინდოდა.

ვცდილობდით არ დაგვენახა და არ შეგვემჩნია ჩვენ გარშემო არსებული მდგომარეობა. ვალიარებ, მონისგან ბევრი რამის სწავლა შეგვიძლია.

ამ დრომდე ჩუმაღ მყოფმა ლაურამ აღნიშნა: დღეს მეც ვფიქრობდი ამ ისტორიაზე, იმაზე , თუ როგორ შემეძლო მიმებადა მონისთვის, რომელმაც შეძლო და აღიარა შეცდომები, სისულელეები და ყველაზე მთავარი - შიში. ამით მან მდგომარეობა გაიუმჯობესა. რომელი მათგანი შეძლებდა ელიარებინა, რომ ცვლილებების ეშინოდა? დაე, ხელი აწიოს მან!

ასეთი მხოლოდ ერთი აღმოჩნდა.

-ვხედავ, ჩვენს შორის მხოლოდ ერთი გულწრფელი ადამიანია, რომელსაც საკუთარი შეცდომების აღიარების არ სრცხვენია - აღნიშნა ლაურამ და განაგრძო: - მოდით, კითხვა სხვანაირად დავსვათ, იქნებ ასე უფრო მოსახერხებელი იყოს. - დარწმუნებული ხართ, რომ თქვენს წინ ან გვერდით მჯდომი პიროვნება ცვლილებების შიშითაა შეპყრობილი? ხელი თითქმის ყველამ ასწია. სიცილი ატყდა.

-ეს რას უნდა ნიშნავდეს? - გაისმა ხმა.

-ჯიუტად უარვპყოფთ საკუთარ ნაკლოვანებებს, - უპასუხა ნატანმა, - ხანდახან ჩვენც არ შეგვიძლია საკუთარი შიშების ახსნა - გამოტყდა მაიკლი. ამ ისტორიამ დამაფიქრა იმაზე, თუ როგორ მოვიქცეოდი შიშით შეპყრობილი რომ არ ვყოფილიყავი.

-ცვლილებები აუცილებლად დადგება, - მოგვწონს ჩვენ ეს, - თუ არა - აღნიშნა ჯესიკამ. მახსოვს, რამდენიმე წლის წინ, ჩვენმა ფირმამ მრავალტომიანი ენციკლოპედია გამოუშვა. ვიღაცები ცდილობდნენ დარწმუნებას, ეს ყოველივე ციფრულ ფორმატში გამოსულიყო, ტირაჟი კი ხელმისაწვდომ ფასად გაყიდულიყო. ასე მომხმარებლებს

უფრო მოიზიდავდნენ და არ გამოეთიშებოდნენ ბაზრიდან. მიუხედავად იმისა, რომ დასკვნები საკმაოდ დამაჯერებლად უღერდა, მათ მაინც ძველი სისტემა აირჩიეს.

- რატომ? ჰკითხა ნატანმა.

- დარწმუნებულები ვიყავით, რომ ბიზნესის საფუძველს გაყიდვის ის აგენტები წარმოადგენდნენ, რომლებიც კარდაკარ დადიოდნენ და სთავაზობდნენ პროდუქციას. რეალიზებული საქონლიდან მაღალი პროცენტები აგენტებსაც იზიდავდა და ფირმაც მოგებას ნახულობდა, ეგონათ, სულ ასე იქნებოდა.

- ეს თქვენი „ყველის ნატეხი“ იყო, - აღნიშნა ნატანმა.

- ნამდვილად, ჩვენ ამ ნატეხზე ძალიან ვიყავით მიჯაჭვულები. თითქოს ყველის ნატეხი კი არ წავგართვეს, თავად ყველის ნატეხმა მიგვატოვა. საქმის არსი იმაშია, რომ ჩვენ არათერს ვცვლიდით, კონკურენტები კი - პირიქით. პროდუქციაზე მოთხოვნა საგრძნობლად დაეცა, მძიმე პერიოდი გადავითანეთ. ახლა ყველაფერი საფუძვლიანად იცვლება, იხვეწება ტექნოლოგიურად, მაგრამ ჩვენთან ამის შემჩნევა არავის სურს. ვშიშობ მალე სამსახურს დავკარგავ.

- ლაბირინთი გელის! - წამოიძახა კარლოსმა. ყველას გაეცინა, მათ შორის ჯესიკასაც. კარლოსმა კი განაგრძო:

- კარგია, თუ შეგიძლია საკუთარ შეცდომებს ღიმილით შეხედო.

- სწორედ ეს მომენტი მინდოდა აღმენიშნა, - ჩაერთო საუბარში ფრენკი. ხშირად ვანიჭებ პიროვნებას დიდ მნიშვნელობას, ამიტომაც კარგად დამამახსოვრდა მონი, რომელმაც შეძლო საკუთარ წარუმატებლობაზე გაღიმება.

- როგორ ფიქრობთ, შეიცვალა გომი? დაიწყო ძებნა? - იკითხა ანჟელამ.

- ჩემი აზრით, - კი, - თქვა ელაინმა.

-მე კი ვფიქრობ, რომ არა - შეენინაალმდეგა კორი - პროტესით ექიმი. - ბევრი არ იცვლება, რჩება ისეთი, როგორიც არის, ამით კი ბევრს კარგავს. ამაში ჩემი პაციენტების მაგალითზე დავრწმუნდი. რატომღაც ბევრს ჰგონია, რომ „ყველის ნატეხზე“ უფლება მხოლოდ მას გააჩნია და მხოლოდ მისი იქნება და როცა „ყველის ნატეხი“ სხვის ხელში აღმოჩნდება, მათ ადანაშაულებენ, თავს კი მსხვერპლად მიიჩნევენ. ყველაზე მეტად კი ისინი განიცდიან, რომლებიც ვერ თმობენ ყველის ძველ ნატეხს, რათა ახალი ეძიონ.

- მთავარია ისოდე რასთან განწყვიტო კავშირი და საით წახვიდე? ჩუმად, თითქმის ჩურჩულით იკითხა ნატანმა. წამით სიჩუმემ დაისადგურა, შემდეგ ისევ ნატანმა დაარღვია სიჩუმე:

- ვალიარებ, ვხედავდი, რომ სხვა რეგიონში მსგავსი ცვლილებები ხდებოდა, მაგრამ არ მეგონა ჩვენამდეც თუ მოაღწევდა. კარგი იქნება, თუ ცვლილებებს თავად მოვანყობოთ, ეს უფრო მომგებიანია, ვიდრე უკვე არსებულ ცვლილებებთან შეწყობა. საკუთარი წილი „ყველის ნატეხი“ ყველამ თავისით უნდა იპოვოს.

- ეს როგორ გავიგოთ? გაუკვირდა ფრენკს.

- მოსვენებას არ მაძლევს ფიქრი ერთ რამეზე; ალბათ, სჯობდა გაგვეყიდა ყველა წვრილი მალაზია და მიღებული თანხით კონკურენტუნარიანი სუპერმარკეტი გაგვეხსნა, - უპასუხა ნატანმა.

- გამორიცხული არაა, რომ მონმა სწორედ ეს იგულისხმა, როცა კედელზე წაანერა: „მიყვი ყველს და დატკბი ცვლილებებით“, - თქვა ლაურამ.

- მიუხედავად ყველაფრისა, არის რაღაცები, რისი შეცვლაც არ შეიძლება, - უპასუხა ფრენკმა. მიუხედავად

ამისა, მჯერა, რომ სჯობია ცვლილებები ადრევე დაიწყო.

- ჩვენ ლამაზი ისტორია მოვისმინეთ,- თქვა მერყევა და გადაუნყვეტელმა რიჩარდმა და მაიკლს მიმართა: - შენს ფირმაში როგორ გამოიყენე ჩვენი გმირების მაგალითი?

იქ მყოფებმა ჯერ კიდევ არ იცოდნენ რიჩარდის პრობლემური პირადი ცხოვრების შესახებ. ცვლილებები ცოლთან გაყრისა და სამსახურის პრობლემებს მოიცავდა, რაც ბევრ ძალას მოითხოვდა.

-იცი, მე მეგონა, რომ ჩემს მოვალეობაში მხოლოდ ყოველდღიური პრობლემების მოგვარება შედიოდა. ბევრს ვმუშაობდი, დღე-ღამეში 24 საათს. ამ უაზრო ფუსფუსით ჩემ გარშემო ყველა იღლებოდა. ახლა, კი როცა ამ საინტერესო და სასარგებლო ისტორიას გაეცნო, მიხვდა, ნამდვილად სჯობდა მონის მსგავსად წარმოედგინა ყველის დიდი ნატეხი, რომელიც თანამშრომლების სტიმულირების საგანს წარმოადგენდა და მისკენ სწრაფვის გზების დასახვაში დაეხმარებოდა.

-საინტერესოა, - აღნიშნა ოდნავ მერყევი ტონით ანჟელამ.

- ძალიან მომწონს ის მომენტი, როცა მონი დაძლევს შიშს და რეალურ სურათს შექმნის, გაუმკლავდება ყველა სიძნელეს, არ შეუშინდება ცვლილებებს, თავს უფრო ძლიერად იგრძნობს, დაისახავს მიზანს და მიემართება მისკენ. შედეგიც არ დააყოვნებს - იპოვის მის კუთვნილ ყველის ნატეხს.

რიჩარდი, რომელიც ამ დრომდე წარბეზებულ სახით იჯდა, უეცრად საუბარში ჩაერთო: - ჩემი დირექტორი საკმაოდ გასაგებად მიმანიშნებდა, რომ ცვლილებები აუცილებელი იყო. მე კი ისეთ სახეს ვიღებდი, თითქოს ეს მე არ მეხებოდა. არ უარვჰყოფ, ძალიან მომწონს ყველის ახალი ნატეხით ტკბობის მომენტი, ის მეტ ძალებს მმატებს

და უფრო თავდაჯერებულს მხდის. ამ მაგალითით სახლშიც შემეძლო მესარგებლა. ჩემი შვილებიც მოძველებული ტრადიციებით ცხოვრობენ, ვერც კი წარმოუდგენიათ რაიმეს შეცვლა. ეშინიათ ცვლილებების და იმის, თუ რა იქნება მომავალში. შესაძლოა, ჩემი ბრალიცაა რომ არ შევეუქმენი წარმოდგენა „ახალი ყველის“ ძიების შესახებ.

სიჩუმე ჩამოწვა. ყველა საკუთარ ოჯახზე ჩაფიქრდა.

-ამ ისტორიის უდიდესი ნაწილი სამსახურთანაა დაკავშირებული, - დაარღვია სიჩუმე ელაინმა. მაგრამ მეც უცბად ოჯახზე დაფიქრდი. ჩემი დღევანდელი ცხოვრება დაობებული ყველივითაა, რომელსაც ყოველდღე ედება ობი.

კორიმ გაუღიმა და დაამშვიდა: - მეც ანალოგიური მდგომარეობა მაქვს. ვფიქრობ მეც მომიწევს წარსულთან განშორება. ანუელა სიტუაციას სხვანაირად აღიქვამდა: - ყველის ძველი ნატეხი, უკვე არსებული, ძველი ურთიერთობაა, რომელმაც თავისი დრო ამოწურა, ახლა ახალ ეტაპზე უნდა გადავიდეთ. კარგი იქნებოდა ეს ისტორია გაცილებით ადრე მოგვესმინა, ჩვენი ოჯახიც ნაკლებად დაზარალდებოდა.

-სახლში მისვლისთანავე ამ ამბავს ბავშვებს მოვუყვები - თქვა ჯესიკამ, - და ვკითხავ მათ, თუ რომელი ვარ მე - გომი, მონი, ნიუხი თუ ბეგუნი. ღიად ვისაუბრებთ თუ რას ფიქრობენ ისინი საკუთარ თავზე და რას ნიშნავს მათთვის ძველი და ახალი ყველის ნატეხი.

-კარგი აზრია, - დაეთანხმა რიჩარდი.

-პირობას ვდებ, - თქვა ფრენკმა, რომ მონის მსგავსად მოვიქცევი, ყველის ძებნას შევედგები, შემდეგ კი შედეგით დავტკბები. მეგობრებსაც მოვუყვები ამ ამბავს, ვფიქრობ საინტერესო საუბარი გვექნება.

- დაახლოებით ასე ვშველოდით ჩვენს ფირმას რყევებისგან
- თქვა მაიკლმა. ბევრი იკამათეს იმაზე, თუ რისი შეცვლა შეეძლო ყველის ძიებას. ანალიზი მეტად კონკრეტული, საქმიანი და განსხვავებული გამოდგა, გამოირჩეოდა სიმსუბუქითა და სპონტანურობით, რაც ძალიან დაეხმარა მომავალი ცვლილებების ოპტიმალური ვარიანტების შერჩევას. ეს ყოველივე კი ფირმას კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებაში დაეხმარა.
- ეს როგორ მოახერხეთ? - დაინტერესდა ნატანი.
- თანამშრომლები დღითიდღე ამჩნევდნენ მათი გავლენის ნაკლებობას. იგრძნობოდა, რომ ზემოდან იმართებოდნენ, თუმცა ამ დროს ეს ისტორია ჯერ კიდევ არ იცოდნენ.
- კი მაგრამ, როგორ? - გაუკვირდა კარლოსს.
- საქმე ისაა, რომ ცვლილებების დროს ბიზნესი იმდენად დაზარალდა, იძულებულნი გახდნენ თანამშრომელთა რაოდენობა შეემცირებინათ. მათ შორის ბევრი ახლო მეგობარი აღმოჩნდა. ამ ფაქტმა მათ სიმშვიდე დაურღვია. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ძველ სამსახურში დარჩენილებიც და წასულებიც ერთხმად აღიარებდნენ ამ ისტორიის მნიშვნელობას.
- რაში გამოიხატებოდა მისი მნიშვნელობა? - იკითხა ანჟელამ.
- როცა მათ შეძლეს შიშის დაძლევა, ყველაზე დიდ აღმოჩენად იქცა რწმენა იმისა, რომ ყველი მართლაც არსებობდა და მის მომპოვებელს ელოდა, - თქვა მაიკლმა და განაგრძო:
- მხოლოდ წარმოსახვაშიც კი ყველის არსებობა მათთვის სიმშვიდის მოპოვებას მოასწავებდა. ბევრმა მათგანმა მოიპოვა კარგი თანამდებობა, იმაზე კარგი, ვიდრე მანამდე ჰქონდა.

- და რა დაემართათ იმათ, ვინც ძველ სამუშაო ადგილზე დარჩა? - დაჟინებით კითხულობდა ლაურა.

- არ უჩიოდნენ არც ერთმანეთს, არც სხვებს : „ყველის ნატეხი მოგვპარეს? არაუშავს, ახალს ვიპოვით“. ასეთი დევიზის საფუძველზე, ბევრი ღრო და ენერგია დაზოგეს, ამასთან ერთად უამრავ სტრესულ სიტუაციასაც აარიდეს თავი. მოწინააღმდეგეებმა შენიშნეს მომხდარი და მთელი არსით მიჰყვნენ ახალ მიმართულებას.

-რითი შეგიძლია ამის ახსნა? - ჰკითხა კორიმ.

-ყოველ კოლექტივში არის რაღაც განსაკუთრებული ატმოსფერო, რომელიც ბევრ გაუთვალისწინებელ ფაქტორზეა დამოკიდებული. როგორ ფიქრობთ, როგორი რეაქცია შეიძლება მოჰყვეს ხელმძღვანელობის მსგავს გადანყვეტილებას? ბევრი ამ გადანყვეტილებას კარგად იღებს, ბევრიც ცუდად.

-ცუდად? კი მაგრამ რატომ? - გარისკა და იკითხა ფრენკმა.

-ღიახ, ღიახ , - დაეთახნმა მაიკლი. - მაგრამ რატომ? - იმიტომ, რომ ბევრს ურჩევნია ყველაფერი ძველებურად დარჩეს. მათ ეშინიათ, ცვლილებებმა პრობლემები არ შეუქმნათ. თუ ჭარიკნებიდან ერთ-ერთი იტყვის, რომ ეს ცუდია, ასეთები კი, რა თქმა უნდა, ნებისმიერ კოლექტივში არიან, სხვებიც იმავეს იმეორებენ. სულის სიღრმეში შესაძლოა სხვანაირად ფიქრობდნენ, მაგრამ შესაძლო განცალკევების შიშით შეპყრობილნი ეთანხმებიან, იზიარებენ სხვის აზრს.

-ნებისმიერ გარემოში თანამშრომლებზე ასეთი ირიბი ზეწოლა ცვლილებებზე წინააღმდეგობის კერას წარმოადგენს.

-სახლშიც მსგავსი სიტუაციაა მშობლებსა და შვილებს შორის, - თქვა ბეკიმ.

-და რა მოხდა, როცა ყველის ისტორიის შესახებ გაიგეს?

-ყველაფერი შეიცვალა, - თქვა მაიკლმა. - მოვითყუები, თუ ვიტყვი, -ეს წამიერად მოხდა, მაგრამ ყველაფერი შეიცვალა, რადგან არავის სურდა გომის ადგილას ყოფნა. ამაზე ყველას ჩაეცინა. მათ შორის ნატანსაც, რომელმაც აღიარა:

-მართალია, ჩემს ოჯახშიც არავის სურდა გომისთვის მიებაძა. მართლაც დასანანია, რომ ეს ისტორია გასული წლის შეხვედრაზე არ მოვისმინეთ. ის ხომ ჯერ კიდევ მაშინ მოგვიტანდა სარგებელს.

მაიკლმა განაგრძო: - მას შემდეგ, რაც გავაცნობიერეთ ამ პატარა ისტორიის მნიშვნელობა, ის მთელს კოლექტივს გავუზიარეთ, განსაკუთრებით მათ, რომლებიც ცვლილებებს სასწრაფოდ საჭიროებდნენ. მივახვედრეთ, თუ რას ნიშნავდა ყველის ახალი ნატეხი, ანუ ახალი პარტნიორი, საქმის წარმართვის განსხვავებული სტილი მაცდური პერსპექტივებითა და კომერციული წარმატებებით.

ჯესიკას უკვე თავბრუ ეხვეოდა განსხვავებული აზრების მოსმენისგან. გაახსენდა, რომ ხვალ დილიდანვე უამრავი შეხვედრა ჰქონდა დანიშნული მის კლიენტებთან. საათს დახედა და წამოდგა:

-დროა დავტოვო ყველის ეს ძველი ბაზა და ძიების ახალ ეტაპს შევუდგე.

იქ მყოფები გაგებით მოეკიდნენ ამ ამბავს, მიხვდნენ მინიშნებას და წასასვლელად მოემზადნენ. ბევრი მათგანი სიამოვნებით განაგრძობდა დებატებს, მაგრამ დაშლის დრო მომდგარიყო კართან. დამშვიდობებისას მაიკლს წრფელი გულით გადაუხადეს მადლობა ასეთი შინაარსიანი და ინტელექტუალური ამბის მოყოლისათვის, რომელზეც მაიკლმა უპასუხა:

- კმაყოფილი ვარ, რომ შევძელი ვყოფილიყავი სასარგებლო ჩემი მეგობრებისათვის და იმედი მაქვს თქვენც ბევრი შესაძლებლობა გექნებათ გაუზიაროთ ეს ამბავი სხვებს.

შენიშვნა: რუსული ტექსტი შეგიძლიათ იხილოთ
მითითებულ ლინკზე >>
http://www.koob.ru/spenser_johnson/cheese



სპენსერ ჯონსონი - ცნობილია სამოტივაციო წიგნით - „ვინ მოიპარა ჩემი ყველი?“ (1998), რომელიც ნიუ იორკ თაიმსის ბესტსელერთა სიაში მოხვდა. ეს არის საოცარი გზა, გაუმკლავდეთ ცვლილებებს სამსახურსა და პირად ცხოვრებაში. იგი კენ ბლანშართან ერთად გახლავთ თანაავტორი წიგნისა - „ერთ წუთიანი მენეჯერი“.



კენ ბლანშარი: „თითოეულ ჩვენგანს აქვს გარკვეული წარმოდგენა, თუ რა არის ყველი. ჩვენ ვიღწვით მისკენ, რადგან გვჯერა, რომ ბედნიერებას გვანიჭებს. თუ მოვიპოვებთ, უმრავლეს შემთხვევაში მასზე დამოკიდებული ვხდებით. ხოლო, თუ დავკარგავთ, ან სხვა დაისაკუთრებს - ამით ტკივილს მოგვაყენებს. ეს პატარა ამბავი უკვე დიდი ხანია ითვლება კარიერის, ქორწინებისა და სიცოცხლის გადამრჩენელად!“



... მკითხველთა მოსაზრებები ...

✓ მოკლე, მაგრამ მოცულობითი.

✓ მოკლედ და კომპაქტურადაა

აღწერილი ის, რაზეც ბევრი ტომეულებს წერს.

✓ ცვლილებებისკენ მიზანმიმართული შესანიშნავი მოტივაცია, მნიშვნელოვანი გამოკვეთილი აზრები.